საქართ. მუშარც. სოც.-ფედ. სარეზ. პარტია

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთ „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 700,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 30,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. წინ...
4 „ 100,000 „
სამგლოვიარო განცხადება:
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 1,000,000 „

წელიწადი მესამე

№ 472 პარასკევი, მაისის 18 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 30,000

ორშაბათს, 21 მაისს, საღამოს 6 ს., სახელმწიფო ოპერის შენობაში

## დანიშნულია ტფილისის საბჭოს პლენუმის გაფართოებული სხდომა

„ფაბრკომების“, „ზავკომების“ და ადგილკომების მონაწილეობით.

დღის წესრიგშია:

1. ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
2. კომუნალურ განყოფილების გამგის მოხსენება განყოფილების მოქმედების და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

საბჭოს ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

360 3—2 პ რ ე ზ ი დ ი უ მ ი.

## კონსერვატორთა წინააღმდეგ.

კონსერვატორთა კაბინეტის დიპლომატიურმა ჯირითმა ამხედრა არა მარტო სოციალისტური წრეები საბჭოთა რესპუბლიკებისა. თემთა პალატაში გაერთიანდა ოპოზიციონური ჯგუფები კერზონის ულტიმატიური ნოტის წინააღმდეგ. არა მარტო მუშათა პარტია და კომუნისტები ილაშქრებენ საბჭოთა რესპუბლიკების და ინგლისის შორის ურთიერთობის გაწყვეტის წინააღმდეგ, არამედ ბურჟუაზიული წრეებიც არ არიან კმაყოფილი კერზონის ნაბიჯით.

როგორც საბჭოთა რესპუბლიკების, ისე თვით ინგლისის ინტერესი საჭიროებენ სავაჭრო ურთიერთობას. ეს რეალური ანგარიში ელობება წინ კერზონის პოლიტიკას და იგი იღებს მკაცრ იერიშებს.

როგორც დეპეშები გადმოვცემს „მოქმედების სომიტეტები“ ამოძრავდენ. მთლიანი მუშათა ფრონტი შეიქნა მთავრობის წინააღმდეგ. ამ ფაქტს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს არა მარტო სავაჭრო ურთიერთობის დაცვის საქმეში. იგი საწინდარია მუშათა გაერთიანებული გამოსვლის და სოლიდარული მოქმედების გამტკიცების.

განსაკუთრებით ეს საჭიროა ინგლისში, სადაც კოლონიების ხარჯზე აღმოცენებული მუშათა არისტოკრატია და მუშათა კლასის დაბალ ფენებს შორის საკმაო სხვაობაა. გაერთიანებული გამოსვლა ერთ მომენტში ერთი საკითხის გამო თავდებია გაერთიანებული გამოსვლის მეორე მომენტში მეორე საკითხის გამო. ხშირად რეაქციონური პოლიტიკა თქმით ხდება რეაქციის საწინააღმდეგო ძალების შეჯგუფების და გამტკიცების მიზეზი, კერზონმაც თავის ულტიმატუმით ხელი შეუწყო ოპოზიციის გაძლიერებას, საერთო ფრონტის შექმნას მთავრობის წინააღმდეგ.

შექმნილი მდგომარეობა აუცილებლად ხელს შეუწყობს მოლაპარაკების გამართვას საბჭოთა რესპუბლიკებსა და ინგლისს შორის. ინგლისის საზოგადოებრივი აზრი კრიტიკულია კერზონის მიმართ. ამ რიგად გამწვავებული მდგომარეობა არ ქმნის პირობებს, რომ ინგლისმა შესძლოს რაიმე რადიკალური ზომებით ხორცი შეასხას თავის მუქარას.

## ტელეგრამები

### ინგლისის ნოტის გარშემო

#### კამათი რუსეთის საკითხის შესახებ ინგლისის პარლამენტში. მთავრობის განმარტება

**ლონდონი** 16 მაისი. ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერმა მაკდონალდმა ინგლისის თემთა პალატაში შეიტანა შეკითხვა ინგლისის კაბინეტის პოლიტიკის შესახებ რუსეთის მიმართ, ინგლისის კაბინეტის სახელით მაკდონალდს პასუხი მისცა მაკნეილმა, მან დაიწყო იმით. რომ უარყო ომის შესაძლებლობა ორი დიდ სახელმწიფოს შორის ისეთი მიზეზით, რომელსაც წარმოადგენენ ის კითხვები, რომლებიც ამ ჟამად რუსეთსა და ინგლისს შორის თავის საგანს შეადგენე.ნ მაკ-ნეილის განცხადებით ომზე ლაპარაკი ნიშნავს პერსპექტივის არ დანახვას. ამის შესახებ მან სთქვა.

„ჩვენ ყველას გვსურს შევინარჩუნოთ, რამდენათაც შესაძლებელია, მეგობრული დამოკიდებულება უცხოეთის სახელმწიფოებთან, მათ შორის რუსეთთანაც, მაგრამ ამავე დროს ჩვენ გვსურს დავიცვათ და გავაფართოვოთ საკუთარი ინტერესები იმ ფარგლებამდე, რომელიც ჩვენ გვესაჭიროება. ინგლისის ერს არ დაუვიწყებია თავისი მოვალეობა რუსეთის ერის წინაშე. მას არ დაუვიწყია, თუ რა გააკეთეს რუსებმა ომის წინ“. შემდეგ მაკნეილმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას არ ჰქონდა განზრახვა გაეუქმებია ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულება და თვალყურს ადევნებდა იმას, რომ ხელშეკრულება შესრულებულიყო. ინგლის-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობა უფრო განმტკიცდებოდა, რომ ერთ მოწამეს არ დაერღვია ის (?). მას არღვევდა საბჭოთა მთავრობა. 1921 წლის მარტში ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისთანავე საბჭოთა მთავრობამ განაახლა თავისი პროპაგანდა.

საკითხი საბჭოთა პროპაგანდის შეწყვეტის შესახებ თავიდანვე შეადგენდა ხელშეკრულების ძირითად ნაწილს. ეს საკითხი არ იყო ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობა, არამედ მისი მთავარი ნაწილი. ამიტომ ინგლისის მთავრობა საბჭოთა მთავრობას უგზავნიდა ენერგიულ პროტესტებს. ამ საკითხში ძველი პრემიერის და ძველი კაბინეტის მოქმედება ასეთივე იყო: ისინი უგზავნიდენ საბჭოთა მთავრობას სათანადო ნოტებს, რომელშიც ამტკიცებდენ, რომ საბჭოთა მთავრობა განაგრძობს თავის პროპაგანდას. საბჭოთა მთავრობა იქცეოდა ისე, როგორც ახლა: ის უპასუხებდა მითითებათ, რომ ჩვენ მიერ აღნიშნული ფაქტები სიმართლეს არ შეეფერება.

თუმცა მაკ-ნეილს არ გამოუკვლევია წყაროები, საიდანაც ინგლისის მთავრობა კრებდა ცნობებს საბჭოთა მთავრობის პროპაგანდის შესახებ, მაგრამ ის მაინც აცხადებს, რომ ის თავის თავზე იღებს სრულ პასუხისმგებლობას იმაში, რომ პროპაგანდას მართლა ქონდა ადგილი. რაც შეეხება ტრალერების დაკავებას, ამის შესახებ მაკ-ნეილმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობის პასუხი ამის შესახებ უფრო დამაკმაყოფილებელია, ვიდრე პასუხი ინგლისის ნოტის სხვა პუნქტების შესახებ, რადგან საბჭოთა მთავრობამ ამ საკითხზე ერთგვარი დაკმაყოფილება მისცა ინგლისს ტრალერების და მათი შემადგენლობის განთავისუფლების შესახებ ცნობით ამასთან ერ თად მაკ-ნეილმა აღნიშნა, რომ თანახმად რუსეთის კანონისა რომელიც დამტკიცებულია 1869 წელს ტერიტორიალური წყლების ზონათ დაწესებულია 3 მილი. სხვა კითხვებში—პროპაგანდის, ინგლისის დაზარალებულ მოქალაქეთა ზარალის ანაზღაურების და სხვათა შესახებ, რუსეთის მთავრობის პასუხი, მაკ-ნეილის განცხადებით, არ აკმაყოფილებს ინგლისს.

პროპაგანდის შესახებ საბჭოთა მთავრობა დაკმაყოფილდა მხოლოდ პროპაგანდის საერთო უარყოფით და გასცა პასუხი კონკრეტიულ ფაქტებზე. რაც შეეხება გემებს და მათ შემადგენლობას თუმცა ისინი განთავისუფლებულნი იქნენ, მაგრამ მათ არ აუნაზღაურეს ზარალი და არ არის გარანტიები მომავლისათვის. სარწმინოების დევნის შესახებ არავითარი მოთხოვნილებები ინგლისის მთავრობას არ წაუყენებია საბჭოთა მთავრობისათვის, მხოლოდ სთხოვდა მოწყალება გამოეჩინა გასამართლებულთა მიმართ. მაკნეილი ამტკიცებს, რომ ინგლისის მთავრობა არ ერეოდა საკითხში რუსეთში ეკლესიის მდგომარეობის შესახებ, მომავალშიც არ ჩაერევა, თუმცა ზოგიერთებმა შესაძლოა გაკიცხონ ინგლისის მთავრობა ამის გამო. ინგლისის მთავრობა ითხოვდა მხოლოდ დასასჯელთა შეწყალებას.

დასასრულ მაკ-ნეილმა განაცხადა, რომ თუმცა ინგლისის ნოტას ულტიმატუმის ხასიათი აქვს, მაგრამ მას არ მოყვება ომი. ულტიმატუმს ის აზრი ქონდა, რომ მის საშვალებით გვინდოდა გვეგრძნობებია საბჭოთა მთავრობისათვის რომ თუ ის განაგრძობს ხელშეკრულების დარღვევას ისე, როგორც დღემდი, თუ ის არ დააკმაყოფილებს ინგლისის მოთხოვნილებებს, აქედან ის დასკვნა იქნება გამოტანილი, რომ საბჭოთა მთავრობას არ სურს განაგრძოს რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების მოქმედება.

მაკ-ნეილმა თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „გადმოგვცემენ, რომ კრასინი რუსეთიდან მოემგზავრება ლონდონში. ფიქრობენ, რომ მისი მიზანია მოლაპარაკება ინგლისის მთავრობასთან. მე არ ვიცი მოითხოვა თუ მოითხოვს კრასინი ლორდ კერზონთან შეხვედრას, შემიძლია მხოლოდ ეს ვსთქვა, რომ თუ ის ითხოვს ამას, ლორდ კერზონი მზად არის შეხვდეს მას და მოხარულიც იქნება ითათბიროს მასთან. მე არ მსურს შეცდომაში შევიყვანო თემთა პალატა ამ მოლაპარაკების შინაარსის შესახებ: ლორდ კერზონი მოხარული იქნება შეხვდეს კრასინს და გამართოს მასთან მოლაპარაკება ყველა ჩვენი მოთხოვნილებების შესახებ, რათა დაამტკიცოს, რომ ჩვენ ჩვენს მოთხოვნილებებს ვსთვლით სამართლიანად და გზას, რომლისკენაც ეს მოთხოვნილება მიმართულია, ვსთვლით სწორად.

ლორდ კერზონი წინადადებას მისცემს კრასინს, რათა მან მოლაპარაკების შინაარსი გადასცეს საბჭოთა მთავრობას, თუ ეს აუცილებელია და თუ ამას კრასინი მოისურვებს. ამ რიგად ამას დასჭირდება რამოდენიმე ხანი და ამიტომ ვადა, რომელიც აღნიშნულია ჩვენს ნოტაში, შეიძლება გაგრძელებულ იქნეს. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ დავკმაყოფილდებით უფრო ნაკლებით, ვინემ აღნიშნულია ჩვენს მოთხოვნილებებში. ეს მოთხოვნილებები არ ყოფილა შედგენილი და გადაცემული ნაჩქარევად, ან ინგლისის პრემიერის მიერ დაუმტკიცებლად. ისინი შედგენილია მთელი კაბინეტის მიერ ბონარ-ლოუს თავმჯდომარეობით მისი სანქციით და დასტურით.

**ბერლინი.** 15 მაისი. ლონდონში შესაძლებლად სთვლიან ბონარ-ლოუს იქ დაბრუნებას ვადის გასვლამდე კრასინთან მოლაპარაკების მიზნით.

**ლონდონი.** 15 მაისი. „დეილი ხრონიკლი“, ეხება რა ლიტვინოვის ნოტას, აღნიშნავს, რომ ის შეიცავს ისეთ დებულებებს, რომლებიც შეუძლია ყურად იღოს ინგლისის მთავრობამ.

**ლონდონი.** 15 მაისი. „მანჩესტერ გარდიენი“ მიუთითებს, რომ კერზონის ნოტის მთავარი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ წარმოადგენს მრავალ ბრალდებათა კრებულს და აგრეთვე ჩარევას რუსეთის შინაურ საქმეებში, რასაც არ მოითმენდა ინგლისი თავის მიმართ.

**ლიფილდი.** 14 მაისი. როგორც იუწყებიან, ინგლისის კაბინეტი დღეს შეუდგება საბჭოთა მთავრობის პასუხის განხილვას.

**ლიფილდი.** 14 მაისი. თემთა პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ინგლისის ტრალერის შესახებ შეკითხვაზე განაცხადა, რომ არის საბუთი იმისთვის, რომ რუსეთის მიერ დაკავებული ტრალერი ჩქარა დაბრუნდება ინგლისში.

**ლონდონი.** 14 მაისი. „დეილი ექსპრესი“ სწერს: „ეხლა ნათელია, რომ საქმიანი წრეების წარმომადგენლები თემთა პალატაში კერზონის ნოტას პროვოკაციულად სთვლიან“.

ხვალ თემთა პალატაში ვაჭრობის მინისტრი ლლოიდ გრიმი ილაპარაკებს რუსეთის სავაჭრო დელეგაციის მდგომარეობის შესახებ ლონდონში.

**პარიზი.** 14 მაისი. საფრანგეთის საზოგადოებრივი წრეები დიდის ყურადღებით ადევნებენ თვალყურს რუსეთ-ინგლისის კონფლიქტს. გაზეთები სცდილობენ წინდაწინვე წარმოიდგინონ რუსეთის პასუხი და მოჰყავთ კრასინის მიერ ბერლინში ყოფნის დროს გაკეთებული განცხადება. კრასინის გამგზავრებას ლონდონში შერიგების ფაქტად სთვლიან.

**ლონდონი.** 14 მაისი. მუშათა პარტიის აგიტაცია ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ ძლიერდება. დამოუკიდებელი მუშათა პარტიის დემონსტრაციაზე ტრაფალგერ-სკვერში გამოვიდა ნიუბოლდი რომელსაც ყველა დემონსტრანტები ოვაციებით შეხვდენ.

### ლოზანას კონფერენცია.

**პარიზი.** 14 მაისი. „ევრ“-ი ამტყუნებს საფრანგეთის მთავრობას იმ ორმაგობაში, რომელსაც ის იჩენს რუსეთის მიმართ ლოზანის კონფერენციაზე.

**ბერლინი.** 14 მაისი. ლოზანიდან იტყობინებიან კონფერენციის ახალ კრიზისის შესახებ, რომელიც შეიქმნა გენერალ პელლეს სადაო საკითხების საჩქაროდ გადაწყვეტის დაყენებითი მოთხოვნილების გამო.

**პარიზი.** 14 მაისი. საფრანგეთის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა წარმომადგენლების მდგომარეობას ლოზანაში; პრესა აღნიშნავს იმ ნერვიულ მდგომარეობას, რომელშიაც, თითქოს, იყოს საბჭოთა დელეგაცია.

### უ ც ხ ო ე თ ი.

#### გერმანია.

„როტე ფანე“-ს კონფისკაცია.

**ბერლინი.** 13 მაისი. აუგსბურგის ქალაქის ხელისუფლებებმა კონფისკაცია უყვეს ბავარიის „როტე ფანე“-ს და ბრძანება გამოსცეს მისი პასუხისმგებელ რედაქტორის ხობერის დატუსაღების შესახებ მისი საოლქო წესების წინააღმდეგ მიმართულ წერილებისათვის.

#### ინგლისი.

ინგლისის ახალი ინტრიგები.

**ლონდონი.** 13 მაისი. კანადის გაზეთ „გლობ ტორონტო“-ს ცნობით ოსმალეთის ყოფილი სულთანი გადადის შვეიცარიაში. ეს გადასახლება, ალბათ, დაკავშირებულია ინგლისის განზრახვასთან ხალიფატის კონსტანტინოპოლიდან ბრიტანეთის ინდოეთის სხვა რომელიმე ქალაქში გადატანასთან.

ესტონეთის პარლამენტის არჩევნები.

**რეველი.** 12 მაისი. ესტონეთის პარლამენტის არჩევნების შედეგები უკვე გამოირკვა, პირველი ადგილი უჭირავთ აგრარიებს 997.000 ხმა, მეორე სოციალ-დემოკრატებს—63 ათასი ხმა, მესამე მშრომელთა ჯგუფს 51,000 და მეოთხე კომუნისტებისა და პროფკავშირების ბლოკს 44,000 ხმა. ყველა პარტიებმა ამ შემთხვევაში იმაზე ნაკლები ხმები მიიღეს, რაც წინა არჩევნებში ჰქონდათ, გარდა მთლიანი ფრონტის სიისა, რომელმაც მეტი ხმები მიიღო.

#### ჩ ი ნ ე თ ი.

უ-პეი-ფუს დამარცხება.

**პეკინი.** 12 მაისი. ჩრდილოეთში სუი-იატსენმა დაამარცხა უ-პეი-ფუს ჯარები, ამ დღეებში ელიან კანტონის მიდამოების ჩენ-ჩუნ-ინგის ჯარების ნაშთებისაგან განთავისუფლებას.

#### უნგრეთში.

უნგრეთის „მშვიდობიანობის მოყვარეობა“.

**ბუქარესტი.** ბუქარესტის გაზეთები იტყობინებიან, რომ უნგრები სამხრეთ-სლავიის საზღვრებზე თავს უყრიან დიდძალ ჯარს. ჯარის-კაცები გადაცმული არიან მუშების ტანისამოსში. გაზეთები იტყობინებიან აგრეთვე, რომ ადმირალმა ხორტიმ ჩამოიარა ჯარის დაბანაკების ადგილები და მხურვალე სიტყვებით მიმართა ჯარისკაცებს.

**პრაგა.** „ჩეხიის სიტყვა“ იტყობინება, რომ სარეპარაციო კომისიას აქვს ცნობები, რომლითაც მტკიცდება უნგრეთის საიდუმლოდ შეიარაღება; უნგრეთმა ტყვიის მფრქვეველთა რიცხვი გაადიდა 2000-დი და საველე ზარბაზნების რიცხვი ...ი 800-მდე.

## საქსონიაში.

**კომუნისტებისა და სოც.-დემ. შეთანხმება.** მთავრობის კრიზისი საქსონიაში უკვე დამთავრებულია. სოც.-დემ. და კომუნისტების მიერ ამორჩეულ შვიდის კომისიის მოლაპარაკების შედეგი ის არის, რომ კომისიამ თანხმობა გამოუცხადა პროლეტარული თავდაცვის რაზმების საერთო ძალების ორგანიზაციაზე და დაადგინა, რომ თუ კი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები წინააღმდეგობას გაუწევენ ამ დადგენილებას, ცენტრალურმა ორგანოებმა უნდა აწარმოონ გაძლიერებული პროპაგანდა საერთო ძალებით რაზმების შექმნის აუცილებლობისა. ეს რაზმები შეიქმნება ქარხნებთან და მხოლოდ არა სამუშაო დროს გამოვლენ თავისი ოლქის საზღვრებში. ამ პროლეტარული თავდაცვის რაზმის წევრობა შეუძლია ყველა პროფკავშირში მყოფ მუშას, პირადი განცხადების და ორივე პარტიის დადასტურების შემდეგ. კომუნისტებმა თავის მხრით, უარი განაცხადეს თავის მოთხოვნილებაზე პარიტეტობის დაწესების შესახებ რაზმების ხელმძღვანელთა დანიშვნის დროს და ხაზი გაუსვეს, რომ 7-ის კომისიის განცხადების შემდეგ ისინი აღარ მოითხოვენ ცეიგნერის მთავრობის წასვლის აუცილებლობას.

კომისიის განცხადება თავდება იმ რწმენის გამოხატვით, რომ ამიერიდან შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს სოც.-დემ. და კომუნისტების თანამშრომლობა ზევით მოყვანილ ბაზისზე.

— **პარტიულ ძალთა განყობილება.** ამ ჟამათ საქსონიაში გამოდის 40 სოც.-დემ. გაზეთი და 3 კომუნისტური. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას საქსონიაში 130 ათასი წევრი ყავს, კომუნისტებს კი—40 ათასი. საქსონიის ლანდტაგის უკანასკნელ არჩევნების დროს სოც.-დემ—ბა მიიღეს დაახლოებით 1 ნახევ. მილიონი ხმა, კომუნისტებმა კი 270 ათასი. საქსონიის ლანდტაგში კომუნისტებს ყავთ 10 დეპუტატი, სოც.-დემ.-ბს—40, ყველა ბურჟუაზიულ პარტიებს ერთად—46.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვანო სარაჯიშვილის იუბილე

(შთაბეჭდილება)

უჩვეულო იყო 16 მაისს სახელმწიფო ოპერის თეატრი.. ეს მოზღვავებული ტრიუმფალობა ალბათ დიდხანს დარჩება ქართველი ხალხის ცხოვრებაში, როგორც საამაყო მოგონება ქართული ხელოვნების აპოგეიისა.

ეს დღე იყო კიდევ ერთი უტყუარი გარანტია ქართული კულტურის მაგარი ხერხემალის მარადიულობისა და გაუტეხლობის.

ასეთი ბედი რჩეულთა ხვედრია მხოლოდ და მართლაც ვანო სარაჯიშვილი აქ მშობლიურ ხელოვნების ბრწყინვალე გალერეიაში უეჭველათ რჩეული და იშვიათი სახელია. ამის საბუთათ შეიძლება კმაროდეს მარტო ის, რომ მისი მოღვაწეობის აღსანიშნავ დღესასწაულზე მოვიდა მთელი საქართველო თავისი მოწინავე ინტელიგენციისა და მშრომელ ხალხის სახით.

მოვიდა მთელი საქართველო [უსაზღვრო მადლობისა და მხურვალე სიყვარულის გრძნობათა გადმოსანთხევად იმ ღირსეული შვილის მიმართ, რომელიც ოცი წლის განმავლობაში ურყევათ იდგა, როგორც ქურუმი ქართული სულის სიმაღლისა და სილამაზის.

საღამოს 6 საათიდან სახაზინო ოპერის თეატრის წინ იკრიბება უამრავი ხალხი, თეატრი ვერ იტევს ნახევარსაც კი—არის საოცარი თავგანწირვა თეატრში შესვლის სურვილისათვის, ყველას სურს გახდეს მოწამე იმ უსაზღვრო ბედნიერების, რომლითაც მადლიერი საქართველო აჯილდოებს თავის ღირსეულ შვილებს. არ ერიდებიან არავითარ საშუალებას. არ ზოგავენ მატერიალურ და მორალურ ღონეს. ბევრი გახდა იძულებული დაბრუნებულიყო უსაზღვროთ გულნატკენი.

8 ნახ. საათზე დაიწყო საიუბილეო საღამო. საგანგებოთ შერჩეული პროგრამა—ყველანი თავის „პარტიებს" ასრულებენ განსაკუთრებულ ხალისით ყველაფერი გაცისკროვნებულია ხალისითა და საზეიმო თავდავიწყებით.

სარაჯიშვილის გამოჩენა სცენაზე—ეს იყო წარღვნა ინსტიქტიური. ოვაციებით ინგრეოდა თეატრი.

დამსახურებული მსახიობი ვასო აბაშიძე ხსნის სადღესასწარლო მილოცვების განყოფილებას.

სცენა გაჭედილია დეპუტაციებით. საიუბილეო კომისიას გამოყავს იუბილიარი მქუხარე ტაშის ცემაში. სცენაზე მომღერალთა გუნდებია.

მილოცვები ამ. კავკ. რესპუბლიკათა ფედერაციის კომისართა საბჭოსი და საქართველოს სახკომსაბჭოსაგან, მთავრობის წარმომადგენელი (სალარიძე) აღნიშნავს რა იმ დიდ ღვაწლს, რომელიც მიუძღვის იუბილიარს რესპუბლიკის მშრომელ ხალხისა, ქართულ ხელოვნების და საერთაშორისო კულტურის წინაშე, უცხადებს მას მთავრობის გულწრფელ მადლობას; ანიჭებს მთავრობის დავალებით სახელს რესპუბლიკის სახალხო მსახიობისას; საჩუქარს (750 მილიონი და ოქროს პორტსიგარი) და დადგენილებს, რომ მთავრობა ნიშნავს სარაჯიშვილს სახელობის სტიპენდიას.

ასეთი უხვი სიმპატია მთავრობისა იუბილარისადმი იწვევს საერთო აღფრთოვანებას...

ულოცავენ ქალაქის აღმასკომის სახელით (მესხი).

ხელოვანთა მთავარი კომიტეტი; (პაოლო იაშვილი) „რაბისი", ქართულ აკადემიურ დრამის დასი; სახალხო სახლის დასი; სომხური, რუსული და თათრული დრამის წარმომადგენლები; ია კარგარეთელი; მელიტონ ბალანჩივაძე; სახ. კონსერვატორიები; პროფ. შალვა ნუცუბიძე, სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, აკადემიურ თეატრების მმართველობამ იუბილიარს მიანიჭა სახელი აკადემიურ თეატრების საპატიო მსახიობისა და მიართვა სათანადო ნიშანი...

იყო კიდევ მრავალი მილოცვა. მიართვეს საჩუქრები და „ადრესები".

მოვიდა აუარებელი დეპეშები, რომელთა შორის განსაკუთრებულია: იუჟინის, სტოლერმანის; აზერბეიჯანის მთავრობის დეპეშები, ქუთაისის აღმასკომის სახელით მიულოცა და საჩუქარი გადასცა იუზა ზარდალიშვილმა.

გუნდები უმღეროდენ იუბილიარს საგანგებოთ გამზადებულ სიმღერებს.

ყოველი სიტყვა, სიმღერა, მილოცვა იფარება აღფრთოვანებული ოვაციებით.

საიუბილეო კომისია დეპუტაციებს სიმრავლისა და დაგვიანების გამო იძულებული შეიქნა შეემოკლებია ორატორთა რიცხვი.

უკანასკნელი სიტყვა მიეცა იუბილეარს. აუდიტორიის აღფრთოვანება აუწერელია. იუბილიარის გულწფელი განცხადება: „ვინაიდგან ჩემი სიტყვა არის ჩემი სიმღერა, ნება მიბოძეთ მადლობა გადაგიხადოთ სიმღერით". და საგანგებო საძადლობელი რომანსი იუბილიარის შესრულებული უჩვეულო გატაცებით და ემოციით, იწვევს მხურვალე ოვაციებს.

დაჟინებული თხოვნით საზოგადოებისა, იუბილეარი მღერის სხვა რომანსებს..

ღამის 2 ს-ზე ტაშის გრიალში ეშვება ფარდა.

ყველანი კმაყოფილია და ნასიამოვნები საერთო ეკზალტაცია და სიხარულით თავდავიწყება.

ბრწყინვალე დღესასწაულის აპოთეოზი იყო თეატრის წინ. იუბილიარი ხელში აყვანილი ოვაციებით და ვარდ-ყვავილების სროლით ჩასვეს ავტომობილში.

გაცილება მქუხარე ტაშით და ხმაურით, ვინაც ნახა ეს არაჩვეულებრივი ტრიუმფი, იგი დარწმუნდება სამარადისოთ, რომ ბედნიერია, ვინც თავის ნიჭსა და პოტენციას ქართველ ხალხის კულტურას და მის ხელოვნებას ამსხვერპლებს.

**დამსწრე.**

# ახალი ამბები

— **გამოცდები.** განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ საბჭოს მიერ ნებადართულია წელს მოეწყოს გამოცდები გარეშე მსურველთათვის მხოლოდ კურს დამთავრების მოწმობის მისაღებად შემდეგ ადგილებში: ტფილისში, ქუთაისში, სენაკში ოზურგეთში და თელავში. გამოცდების კომისიის თავაჯდომარეს და წევრებს ნიშნავს ადგილობრივ განათლების განყოფილების გამგე და მისივე პასუხისმგებლობით უნდა სწარმოებდეს აღნიშნული გამოცდები.

— **უმუშევარნი.** 15 მაისს შრომის ბირჟაზე გამოცხადდა 385 უმუშევარი ვაჟი 253. ქალი 132. კვლავ ჩაირიცხა 196. მამა კაცი 133 და ქალი 63. მოთხოვნილება იყო 67, გაიგზავნა სამუშაოზე 54 უმუშევარი; მამა კაცი 41, ქალი 13. აღდგენილია უფლებაში 3.

— **სასადილო უმუშევართათვის.** შრომის ბირჟამ აღძრა საკითხი უმუშევართათვის სასადილოს გახსნას. სასადილო გაიხსნება მადათოვის ქუჩაზე.

— **დაზღვეული კასსა უმუშევართათვის.** იგივე ბირჟა ხსნის დაზღვეულთა კასსას უმუშევართათვის.

— **სტადიონი.** ტფილისის აღმასკომმა დაადგინა ფიზიკურ კულტურის უმაღლეს საბჭოს მიეცეს ვაკეზე ერთი ნაკვეთი მიწა სტადიონის მოსაწყობად.

— **ჭლექთან ბრძოლა.** ჭლექთან მებრძოლმა კვირეულმა ქალაქ ტფილისში მისცა 700 მილიონი მანეთი. მოელიან შემოწირულებას პროვინციიდან. აგრეთვე გაიღეს დახმარება თეატრ-კინოებმა, წითელმა ჯვარმა, დოლმა და პატენტ-სანიტარულმა გადასახადმა გემებზე ფოთში, სოხუმში და ბათომში.

— **საზომ-საწონის პალატის მთავარი სამართველო.** ყველა კერძო და საზოგადო სავაჭრო დაწესებულებანი რომელნიც ვაჭრობენ ზომით, მოვალენი არიან 20 ამა მაისიდან გამოცხადდენ სარეგისტრაციოთ. 25 ამა მაისიდან კი დაურიგდებათ მათ მეტრები, ნახევარი მეტრები, ტაბლიცები და სხ. არშინები ამიერიდან გაუქმებულ იქნება. დამრღვევი ამ წესისა პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი.

— **ამაღლება არ იუქმეს.** 17 მაისს, ამაღლების დღეს მეცადინეობა საბჭოთა დაწესებულებებში და ფაბრიკა-ქარხნებში არ შეწყვეტილა. თანახმად შრომის კომისარის განკარგულების გაცემისა.

— **კოოპერატივების გაერთიანება.** ტფილისის კოოპერატივებს განზრახვა აქვს შეუერთდნენ გაერთიანებულ მუშების კოოპერატივებს. ამის საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად 17 მაის მოწვეულ იყო კოოპერატივების წევრთა არა ჩვეულებრივი კრება.

— **თავგასული მილიციონერები.** მილიციონერები თუხარელი და რუხაძე საზოგადო წესის დარღვევისათვის, სიმთვრალისათვის და მ[illegible]ლების შეწუხებისათვის, მილიციის უფროსის განკარგულებით განიარაღებულ იქმნენ და დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდან.

— **ჩოლოყაშვილის ბანდის მსხვერპლი.** 14 მაის თელავის მაზრაში ჩოლოყაშვილის ბანდასთან ბრძოლის დროს მოკლულ იქმნა თელავის, სიღნაღის და თიანეთის მაზრების საგანგებო კომისიის სამხედრო ნაწილების უფროსი **მამია ერისთავი.** მიცვალებული დაასაფლავეს 17 მაისს თელავში, ოქტომბრის რევოლიუციის ბაღში.

— **ჭლექის ავადმყოფობის გამოფენა.** მუშათა სასახლეში წითელ დარბაზში ჯანმრთელობის კომისარიატმა მოაწყო ჭლექის ავადმყოფობის გამოფენა, სადაც დაგროვილი იყო საყურადღებო მასალა ჭლექის აყადმყოფობის გასაცნობათ, სხვათა შორის გამოფენაზე ნაჩვენებია საყურადღებო ციფრები, სადაც აშკარად ჩანს ამ სენის საშინელი შედეგები. მარტო მოსკოვში და პეტერბურგში ჭლექით ავადმყოფნი 28 პროცენტია. საქართველოს ჭლექიან ავადმყოფების რიცხვით, დანარჩენ სახელმწიფოებთან შედარებით საპატიო ადგილი უკავია. გამოფენა გაგრძელდა სამ დღეს, აუარებელი ხალხი დაესწრო.

— **ინგლისის მილიტარისტების წინააღმდეგ.** თითქმის არ დარჩენილა საქართველოში არც ერთი მუშის და ჯარის ორგანიზაცია რომელსაც არ გამოეტანია სასტიკი პროტესტი ინგლისის ბოროტზრახვების წინააღმდეგ. აგრეთვე დიდი აღშფოთება რუსეთის დიპლომატის ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო.

— **ლიბკნეხტდორფი** სოფ. „ალექსანდრედორფს" დაერქვა ახალი სახელი „ლიბკნეხტდორფი".

— **დავრდომილ ქალთა სახლი.** ტფილისის აღმასკომმა წინადადება მისცა ჯანმრთელობის განყოფილებას მიიღოს ორთაჭალაში არსებულ დავრდონობილ ქალთა სახლი და შეადგინოს საჭირო ხარჯთ-აღრიცხვა.

— **აგრარულ რეფორმების გასატარებლათ.** საადგილ-მამულო განყოფილებს მაზრაში აგრარულ რეფორმის გასატარებლათ სესხის სახით მიეცა ასი მილიონი მანეთი.

— **ჯარიმა.** რესტორანი—კაფე „ბოგემა" სავალდებულო დადგენილების სისტემატიურათ დარღვევის გამო დაჯარიმებულ იქმნა 50 მილიონი მანეთით.

— **მალიარიის წინააღმდეგ.** ტფილისში აღმასკომმა დაავალა მილიციის უფროსი, რათა მან სასტიკი ზომები მიიღოს საბურთალოში ჭაობების გაშრობათ.

— **ინვალიდების სასარგებლოთ.** ტფილისის აღმასკომმა დაადგინა 14, 15 და 16 მაისს ტრამვაის, წყალსადენის, სასაკლაოს, აბანოს და სხ. შემოსავლის 2 პროცენტი გადაიდოს ინვალიდების სასარგებლოთ.

# თამარ მეფის მეხოტბენი

(გაგრძელება)

**შ ო თ ა.**

2. პოეტი შოთა რუსთაველი და მისი თხზულება.

„ვეფხის ტყაოსნის" ავქსონი თავის თავს იხსენიებს რუსთველად (ხანები 7, 15, 1573 და 1576), ხოლო ხალხის ხსოვნასა და ზოგიერთ მერმინდელ მწერლებს შეუნახავთ მისი სახელიც, შოთა, რომელიც უნდა იყოს იგივე შემოკლებული აშოთან, აშოთ=აშოტ=ბერძნ. Atoreos. ვინ იყო მისი დედა მამა, სად და როდის დაიბადა, არა სჩანს. არ შენახულა ცნობა შესახებ მის აღზრდისაც, აგრეთვე თანამდებობისა. მხოლოდ მისივე თხზულებიდან სჩანს, რომ შოთა ყოფილა დიდი მცოდნე ღვიძლ ენისა, დიდი პსიხოლოგი, დიდი ფილოსოფოსი და ალმატებით დაჯილდოებული სამგოსნო ნიჭით. გადმოცემით იგი უნდა ყოფილიყო თამარის მოლარე, ხოლო „არჩილიანის" ავქსონის ცნობით ვითომ შოთა ყოფილიყოს მხედარი და მიეღოს მონაწილეობა თამარის თითქმის ყველა ომებში („არჩ." 133—1651.) რომ მას მართლაც დიდი ადგილი სჭერია სახელმწიფო იერარქიაში, გამოსჭვირს თვით მის ქმნილების მე-15 ხანადგან, მაგრამ ამის შესახებ იხ. ქვემო „ვინმე მესხი".

ამ დიდ მოხელესთვის, როგორც სჩანს მე-5 ხანადგან, წინადადება მიუციათ ეთქვა „ტკბილი ლექსები" საქებრად თამარისა და მის მიჯნურ დავითისა (ხანები 3, 4). ცხადია, იგი მაშინ სახელგანთქმული მელექსე უნდა ყოფილიყო.

თამარის დროს და მის წინათაც სელჩუკიანთ მთავრებს აუცილებლად ჰყვანდათ კარის მგოსნები. ვახუშტის ცნობით (გეოგრ. 8), ქართველ მეფეებსაც წესად ჰქონიათ თავის კარს ყოლა მგოსნებისა, რომელნიც ჩუნჩერახის ველისანი იყვნენო.

ყოველ შემთხვევაში სარწმუნოა ერთი. რომ თუ შოთა განთქმული მგოსანი არ ყოფილიყო, მას არ მიჰმართავდნენ შეექო ასეთი დიდი პიროვნება, ვით თამარი.

შოთა რომ უმაღლეს სწავლაში გამოწაფული ყოფილა: ამას ამტკიცებს მთლიანად მისი წიგნი, სავსე ფილოსოფიურ-ზნეობრივ თქმულებებით საუკუნოდ უქნობ ხასიათისა, მისი ცოდნა, რომ შაირობა სიბრძნის ერთი დარგიაო, მაგრამ სამგვარი: ა) ლექსი ცოტაი, ბ) ლექსი სანადიმო, სააშიკო და გ) მოშაირობა გრძელ თხზულებათა დასაწერად, ტკბილ საუბართა საფრქვევად შესახებ ერთის რამ საგნისა, მის ყოველ მხრივ დასახასიათებლად და არა ცუდად ლექსთა ბრკობად გარეშე კითხვების შემოტანით ლექსში.

დავით გურამიშვილი ამბობს (გვ. 300):

„ოდესაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო იგავთ ხეოდა<br>
ფესვ-ღრმა შრტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა,<br>
ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც მოირხეოდა,<br>
ლექსი რუსთვლისებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ვნახეოდა.<br>
ვით მჴედარს ყრმისა მცირისა წკეპლისა ზედან ჯდომანი<br>
მიემზგავსების ცხენოსანს ჯოხით რბენა და ხლდოსანი,—<br>
ეგრეთვე შოთა რუსთველსა ეს ჩემი ლექსთ მიხდომანი...<br>
მე რუსთველსა ლექსს არ ვუდრი, ვით მარგალიტს ჩალის ძირსა".

ამ დახასიათებიდან ცხადად სჩანს, თუ გურამიშვილისთანა წარჩინებული პოეტიც რა დიდი აზრისა იყო შესახებ შოთა რუსთაველის ქმნილებისა, მის სიბრძნისა, რიტორობისა, შაირობისა.

შოთას თხზულება „ვეფხის-ტყაოსანი" თავიდან ბოლომდის დაწერილია შაირით, ე. ი. 16 მარცვლოვან ლექსით. მთელს თხზულებაში 1576 ხანაა, ხოლო დამატებით 1594. მათგან წინასიტყვაობისთვის მიძღვნილია 32 ხანა, პოემისთვის 1540, ეპილოგისთვის 5.

პოემაში უმთავრესი გმირია ოთხი. წყვილ-წყვილად ანუ ჯგუფთ-ჯგუფთად. პირველი ჯგუფთია თინათინ—ავთანდილი, მეორე ტარიელ—ნესტან-დარეჯანი. ამას გარდა ერთი ჯგუფთი—წყვილი კიდევ წინასიტყვაობასა და ეპილოგშია. ამ ჯგუფთს შეადგენენ თამარ მეფე და მისი დავითი. სამივე ჯგუფთის წარმომადგენელთ შორის ის მსგავსებაა, რომ თითოეული წყვილის წევრნი ერთურთის მიჯნურები არიან.

**წინასიტყვაობისა და პოემის შეძერწილობა.**

**1. მიჯნური და მიჯნურობა.**

ა. პირობა პირველი.

უმთავრესი ჯაჭვეთი, რომლითაც გადაბმულია შოთას თხზულების ორივე ნაწილი. წინასიტყვაობა და პოემა, არის პირობა: მიჯნურობის მალვა, არ დაჩნევა, დ[illegible]ზნევით არ მოყივნება მიჯნურისა, არ შერცხვენა მიჯნურისაგან მიჯნურისა (ხ-ბი 12—14). წინასიტყვაობის ეს დებულება ქვემოთ პოემაში გადის წითელი ძაფივით.

ავთანდილ—თინათინის მიჯნურობა სწარმოებს მათ შორის ისეთის იდუმალობით, რომ მას იგებს როსტევანი მხოლოდ უკანასკნელ ჟამებში, ქორწილის წინა-დღეს და ისიც ტარიელისაგან (ხ. 1498). ასეთივე საიდუმლოებით მოცულია ტარიელისა და ნ. დარეჯანის მიჯნურობა.

ასეთი წესი მიჯნურობისა თვით ღვთისაგან განწესებულიაო, ამბობს ავქსონი. ხ. 791: „ღმერთო, შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა". და შოთას გმირებიც ამ ღვთისაგან დაბადებულ და განწესებულ მიჯნურობის წესებს არ არღვევენ მაშინაც-კი, როდესაც თავს ატყდებათ ათასი საშინელება. ნესტან-ტარიელი დუმან თავიანთ მიჯნურობის შესახებ იმ დროსაც-კი, როდესაც კარს მოადგებათ მიჯნურობის ჩამამწარებელი სასიძო, ხვარაზმ-შას შვილი, და მის მოკვლას არჩევენ ვიდრე მიჯნურობის გამჟღავნებას. ნესტანი, გამსჭვალული მიჯნურობის წეს-მოთხოვნილების უსაღმრთოებით, ვერ ამხელს მას თვით ფატმანის წინაშეც. იმ ფატმანისა, რომელიც მას ეპყრობოდა როგორც ტკბილი დედა (ხ. 1119). ამათი და იმათი სამიჯნურო დამოკიდებულება იცის მხოლოდ ორმა პირმა: „არაბეთში" შერმადინმა, რომელსაც თინათინ-ავთანდილის სამიჯნურო საქმე გაუმხილა თვით მისმა გულითად მეგობარმა ავთანდილმა (ხ-ები 150 151), ხოლო ინდოეთში ასმათმა, რომელიც იყო ნესტანის „ნაჭვრეტი" და ტარიელის „დობილი" (ხ. 948).

მიჯნურობის ამგვარ თვისება-წესის-გამო თვით მიჯნურს მოეთხოვება, რომ იყოს „მიჯნური ხანიერი", ე. ი. ხანგრძლივად მომთმენი, მომთმენი იმ დრომდის, ვიდრე მიჯნურობისაგან მოკიდებული ცეცხლი დანელდება საამო ქორწინებით შეყვარებულთან (ხ. 10). და ასეთი „ხანიერი" იყო მიჯნურობა არათუ მარტო პოემის გმირებისა, არამედ თინათინის სიმეტე თამარ-მეფისაც, რომელიც, 38 წლის ჰასაკისა შეიქმნა, რომ მაშინ ძლივს ეღირსა შეუღლება თავის მიჯნურ დავითთან—მანამდე-კი იგი, როგორც იუწყება ჩახრუხაძე (ხ. 44), „ნამარხევად" ანუ „სძლად ნამარხევად" (№ 656) იყო თქმულისთვის „ავადად" (ჩახრ. 44, ვეფხ.-ტყ. 1222), ე. ი. დავით სოსლანისთვის. რახან ამ დავითისთვის მიეცა პირობა თამარს, სხვა მთხოვნელებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, და ასეთები კი მრავალი იყო.

„ქართ. ცხოვრება" ამბობს (გვ. 2891): „თამარისთვის ხელდებიან ყოველნი მსმენელნი ესრესახე ბრწყინვალებისა მისისანი. ბერძენთ მეფის მანუელის უხუცესი შვილი ამისთვის იყო გაჭრით და გახელებით გამიჯნურებული. ასურასტან-შუამდინარის მეფის შვილი, რაც უნდა საქმე ჰქონებოდა შინ, მაინც აქ მოდიოდა. სულტნის ყიზ-არსლანის (გამეფდა 1191 წ. და +1191 წ.) შვილი, ამისის ბრწყინვალებისა სმენითა ხელ-ქმნილი, ძლით-ღა სამე დაიმჭირა მამამან სჯულისა გამფებისა შიშითა. თვით ახლოს მყოფთაც ესე ვითარი აქვნდა ტრფიალება და სურვილი, რომელ არცა-ღა უღირსთა უღირსობისა აქვნდა კდემა და სირცხვილი არცა-ღა თვისთა თვისობისა გავლენა. სალდუხისძემან ბუტაფრადინ დაავდა გემოვანი სჯული მაჰმადიანი, აუარებელ უძვირფასეს ძღვნით მოვიდა, და ნახვასავე თანა რამინისებრი აჩვენა ცრემლთა ნაკადთ მრავლობა. დარბაზობისა რეცა სახედ მოვიდა შარვაშა ალსართან, რომელი მიხდილ იყო ცნობასა სიყვარულისაგან და ტრფიალებასა თამარისა, თვის სჯულის დაგდებად გამზადებული მოქენე იქმნა ყოველთა წინაშე საქმისა მოქმედთა, მოძღვარსა, კათალიკოზსა მიუწდომელითა ქრთამითა ევედრებოდა... ბევრმა „სამისოდ გაჰრით მჴეც-ქმნილთა მჴეცებრ აჩვენეს ულმობელობა" (ქ. ც. 300). მაგრამ ამაოდ: არც ერთს არ მისთხოვდა თამარი.

იგიც „ვიმეორებ" მიჯნური იყო ხანიერი.

ბ. სხვა პირობანი.

მეორე მოთხოვნილება მიჯნურთაგან (ხ. 8): „მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა, სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე, ენაგოსნება[illegible], დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა". სწორეთ ასეთებია პოემის გმირები, ტურფანი, უხვნი, ქველნი, მძლეთა მძლეველნი. ავთანდილის სიმირე პირდაპირ საარაკოა: სახლში სტოვებს თავის მიჯნურს, სამის წლით გაიჭრება მოსაძებნად უკვალოდ[illegible] დასახულ „ვეფხის-ტყაოსნისა", დიდის გაჭირვებით მიაგნებს მას, ბრუნდება შინ, ისევ მიდის ახლა ნესტანის მოსაძებნად. გზაზე გმირებრ ეომება მეკობრეთ; ჰხოცავს მათ, თავს იმცირებს, ვაჭრულად იმოსება, იგებს ნესტანის ამბავს, ტარიელფრიდონთან ერთად ქაჯთა ციხიდან გამოიხსნის ნესტანს. ამგვარივეა სიმტკიცე და სიგმირე ტარიელისა და თვით ნ.-დარეჯანისა, რომელიც მამაკაცებრ ვაშკაცობით ითმენს ყოველგვარ გასაჭირს ზღვა-ზღვა ცურვის დროს, ფატმანის სახლიდგან მარტო გადის ცხენოსნად, ტიალ მინდორს მისცემს თავს, მიჰქრის წყვდიად უკუნეთში, გმირებრ შეეკამათება შეხვედრილ ქაჯებს (ხ. 1205).

მესამე პირობა (10—11): „გული ერთს დააჯეროს... და საქმესა ნუ უხმობთ მიჯნურობასა, დღეს ერთი უნდის, ხვალე სხვა". ამ დებულების

# ბავშვთა პირველი დღესასწაული საქართველოში.

20 მაისს საქართველოში პირველად იმართება საბავშო დღესასწაული. ამ დღეს პირველად გამოვლენ ბავშვები სადემონსტრაციოთ ქუჩებში, საქართველოს მშრომელთა წინაშე, მწყობრად, ორგანიზაციულად და იმ სიხარულით, რომელიც შედეგია ნორმალურ პირობებში მათი სწავლისა და საკუთარ ცხოვრების კოლექტიური შენებისა. ამ დღეს ისინი გამოსახავენ და დაამტკიცებენ დიდ სიყვარულს და მადლობას ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც დაუღალავათ და დიდი ენერგიით მუშაობდნენ შრომის ასპარეზზე.

მეორე მხრივ ისინი გაამხნევებენ და გაუორკეცებენ ძალა-ენერგიას და რწმენას ახალგაზრდა კომკავშირის წევრებს; ახალგაზრდა ამხანაგები დაინახავენ ბავშვებში იმ მომავალ ძალას, რომელიც თანდათან შეავსებს კომკავშირის რიგებს, მისცემს რა მათ მრავალ ახალგაზრდა ამხანაგს აღზდილ ახალ პირობებში.

ამ დღესასწაულს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ ის იმართება სასწავლო წლის ბოლოში როცა ბავშვებს თავისუფლად შეუძლიან სთქვან, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მათ მისცა შესაძლებლობა მათ მიერ მაქსიმალურად იქნა გამოყენებული მათ შეუძლიან სთქვან, რომ ისინი ნორმალურ ცხოვრების დაურკვევლად პირველად ამ ათი წლის განმავლობაში მეცადინეობენ ისე ხანგრძლივათ და იმეცადინებენ კიდევ იქამდე. სანამ არ შეასრულებენ ამ სასწავლო წლის 100 პროც. დავალებას.

სასიხარულო იქნება ეს დღე ბავშვებისათვის, სასიხარულო უნდა იყოს იგი საბჭოთა დაწესებულებათა პროფორგანიზაციებისა და მით უმეტეს კომპარტიისათვის.

ამ დღეს ჩვენი ბავშვობა, როგორც ერთი, ეროვნების, სქესის და წლოვანების განურჩევლად, ჩვენ პატარა რესპუბლიკაში—საქართველოში ისე იგრძნობენ თავს, როგორც თავიანთ ოჯახში.

თავის მხრივ სახალხო განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობა სთხოვს ცეკას, ტფილისის კომიტეტს, ახალგაზრდა კომკავშირს, სახალხო კომისართა საბჭოს, აღმასკომს, პროფკავშირთა საბჭოს და წითელ არმიას და სხვა დაწესებულებებს, რომელთა ზრუნვით ჩვენ შევძელით მოგვეწყო ჩვენი ბავშვების ნორმალური ცხოვრება, რომ ეს დღე მთლიანად შეეწირა მათ მიერ ბავშვებს, დილით უნდა ნახონ ბავშვების დემონსტრაცია, გაამხნევონ ისინი გულწრფელი მისალმებებით, ხოლო საღამოთი კი ინახულონ ისინი სკოლებში, საბავშო სახლებში, როცა ბავშვების მიერ გამართული იქნება ლიტერატურული საღამოები და სხვა გასართობები.

მეტი ყურადღება, ზრუნვა და სიყვარული ჩვენ ბავშვებს ჩვენს მომავალს—ახალ თაობას.

ყველა ბავშვების დღესასწაულზე.

ყველა ბავშვებთან სტუმრათ.

**მარიამ ორახელაშვილი.**

მოლოდინი და ამ გზამ ვერ იქონიოს ის უაღრესი ეკონომიური და სოციალური მნიშვნელობა მთელი მაზრის მასშტაბით, რომელსაც მისგან ველით.

საქმე იმაშია, რომ რკინის გზა არის იგივე მდინარე, რომელიც იზრდება, ძლიერდება და ფართო საქვეყნო მნიშვნელობას მოიხვეჭს დიდი, თუ პატარა შენაკადების წყალობით.

რკინის გზაც მთავარი ძარღვია მხარისა, რომელსაც აუცილებლად უნდა ძუძუ აწოვონ და ასაზრდოვონ დიდმა, თუ მცირე გზატკეცილებმა, სათემო და სასოფლო შარა-გზებმა, რომლებითაც გავა და გამოვა ნაკადები ნივთიერ-ეკონომიური საზრდოებისა.

თუ კი ეს მთავარი ძარღვი სუსტია ამ დამხმარე შენაკადებით, მაშინ იგი დარჩება უდაბნოს, ან მიუვალ კლდის მდინარეთ, რომელსაც შერჩება მხოლოდ ის მნიშვნელობა, რომ შეაერთებს ორ დაშორებულ პუნქტს. ჩვენში-კი მნიშვნელობა ექნება მხოლოდ მის განაპირა მდებარე ვიწრო ზოლისთვის, ხოლო მთელი მაზრის ფართო მასისათვის იგი დარჩება მკვდარ და გამოფიტულ ხაზად.

აი, ამიტომ ჰმართებთ ამ რკინის გზაზე მუშაობის განახლების ინიციატორთ ისე გულმოდგინეთ და თავგამოდებით იზრუნონ ჩვენი კუთხის სათემო-სასოფლო შარა-გზათა ქსელის გართულებაზე, როგორც თვით რკინის გზაზე ზრუნავენ, თუ-კი ჰსურთ, რომ ამ რკინის გზას ექნეს დიდი მნიშვნელობა.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ კარგად გამართული გზა არის ის ღარი, რომლითაც [illegible] სიბნელე, უმეცრება და მასთან ყოველგვარი სიღუხჭირე და შემოდის კულ[illegible] ხალხის ყოველნაირი კეთილდღეობა.

სამწუხაროდ მე [illegible] მაზრის სხვადასხვა რაიონებში სათემო და სასოფლო გზები, რომელნიც მუდმივ წუმპესა და საფლობლაფს წარმოადგენენ, სადაც იტანჯებიან მგზავრები და მცხოვრებიც თავიანთ პირუტყვებით.

გარდა ამისა, რომ ეს გზები პირდაპირ დანიშნულებას ვერ ასრულებენ, მათზე დაგუბებული დამპალი წყლები საუკეთესო ბუდეს წარმოადგენენ ყოველგვარ ბაქტერიათა გასამრავლებლად და ათასგვარ სნეულებათა გავრცელებასაც უწყობენ ხელს, როგორც ადამიანთა, ისე შინაურ საქონელთა და ფრინველთა შორის.

უამრავია აგრეთვე ხიდები, რომელნიც სულ მცირედია ზიანისა გამო ხშირად იმსხვერპლებენ მგზავრებს.

ყოველივე ამის მოგვარება დიდ გასაჭირს არ შეადგენს ხალხისთვის, არც დიდ შრომასა და არც დიდ ხარჯებს ეს არ გამოიწვევს, მხოლოდ საჭიროა კარნახი, მითითება, დავალება, ბოლოს-კი თვით ხალხიც კმაყოფილი და მადლიერი დარჩება.

სასურველია მაზრას ჰყავდეს კაცი სპეციალურად გზათა მეთვალყურე, რომელიც მუდმივ თვალყურს უნდა ადევნებდეს მთელს მაზრაში გზებისა და ხიდების მდგომარეობას.

**ოდიშელი.**

---

# საქართველოს წითელ ჯარში

### კლუბები დივიზიონში

**სააგიტაციო საღამოები.** კლუბის მართველობა ამხ. მამულაშვილის, ხელმძღვანელობით ენერგიულათ შეუდგა მთელი რიგი სააგიტაციო საღამოებისათვის გასამართავად, ახლად გაწვეულთათვის.

**მომგებიანი სესხი.** პირველ რიგში გაიმართება საავიტაციო საღამო მომგებიანი სესხის აღსანიშნავად. საღამოზე წაკითხულ იქნება მოხსენებები, სადაც წითელ არმიელთ განუმარტავენ სესხის მნიშვნელობას გამართულ იქნება წარმოდგენა-ინსცენირავკა და სხ.

**საავიტაციო კამპანია.** გარდა საღამოსა, აგრეთვე ყველა ნაწილებში გაიმართება საავიტაციო კამპანია მომგებიანი სესხის სასარგებლოდ, რომელიც დაიწყება 16 მაისიდან და გასტანს 20 მაისამდე.

**ინვალიდების კვირეული** მომგებიან სესხის კამპანიის შემდეგ დაიწყება ინვალიდების კვირეული ოციდან—27 მაისამდე თითქმის იგივე ხასიათისა.

**მომზადება საბანაკოდ.** 27 მაისიდან დაიწყება მზადება საბანაკოდ.

**კლუბის მუშაობა ზაფხულის თვეებში.** კლუბის მუშაობა ზაფხულის თვეებში გადატანილ იქნება იმ ადგილას, სადაც იდგმება საბანაკო ნაწილი.

**ცენტრარმკლუბი.** ამ დღეებში ცენტრ.არმ კლუბი გადადის საზაფხულო შენობაში.

**სამხკომების და პოლიტხელების თათბირი.**

11 მაისს გაიმართა თათბირი ქართულ ჯარის სამხკომების და პოლიტხელების. ამხ. თენგის ელენტის თავმჯდომარეობით.

თათბირზე ადგილებიდან მოსმენილ იქმნენ მოხსენებები სამხკომებისა თავიანთ ნაწილების მდგომარეობაზე.

**უსწავლელთა რიცხვი** მთელ ქართულ ჯარში უსწავლელთა რიცხვი უდრის 1713 კაცს.

**პოლიტსაათი** ყველა ნაწილებში დადებითად ტარდება პოლიტსაათი.

**კლუბი და კედლის გაზეთები.** ნაწილებში იცემება კედლის გაზეთები წითელ არმიელთა მონაწილეობით. აგრეთვე დივიზიის შევსების დღიდან ამუშავდნენ კლუბებიც.

**ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან.** წერა-კითხვის უცოდინარობასთან მიღებულია ენერგიული ზომები.

**უფშემადგენლობა.** დამოკიდებულება უფშემადგენლობისა წითელ არმიელებისადმი მეტად სასურველია. სამსახურის დროს დისციპლინა. სამსახურის გარეშე კი—ამხანაგობა. პოლიტიკური მეცადინეობა უფშემადგენლობასთან ჯერ-ჯერობით ვერ არის მოწყობილი.

**შეფები.** ზოგიერთ ნაწილების შეფებმა საგრძნობი დახმარება გაუწიეს თავიანთ შვილობილებს, ესე იგი ყაზარმები შეაკეთეს და განაახლეს.

**დისციპლინა.** დისციპლინა ქართულ წითელ ჯარში. როგორც მოხსენებებიდან ჩანს არა ჩვეულებრივია.

**სულიერი მდგომარეობა,** ახლად გაწვეულების სულიერი მდგომარეობა ძალიან კარგია. ყველანი მხიარულად არიან და სიყვარულით კიდამენ სამსახურს ხელს.

**დირექტივები.** თათბირის დასასრულს სამხკომებმა მიიღეს საჭირო დირექტივები სალაგერო მუშაობისა, უცოდინარობის ლიკვიდაციის და პოლიტმუშაობის მეტოდებისა.

---

მიხედვით იქცევიან თვით პოემის გმირები 135: „შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი, მზეცა მომხვდეს ხორციელი ჩემთვის კაცად (=ქმრად) შენაქმარი, სრულად მოვწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი, შენი მკლავდეს სიყვარული". ასე შეჰფიცა თინათინმა ავთანდილს და ეს ფიცი მას არ დაურღვევია 401: „შენი ვიყო სადამდისცა დამიყოფდეს მიწა პირსა"; 402: „ზედან წიგნსა საფიცარსა შევფიცე და შემომფიცა". ეს სიმტკიცე პირობისა ნესტან-ტარიელმა ბოლომდის გაიტანეს.

4. მოყვარეს მოყვრისათვის „ჰირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლს მოიდებდეს" (ხ. 31). ავთანდილით (ხ. 685):=„ჰხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად: გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად, კვლავ მიჯნურსა მიჯნურისა ჰირი უჩნდეს ჰირად დიდად". ავთანდილივე ეუბნება თინათინს (ხ. 684) „მან (ტა იელმა) ჩემთვის დაწვა თავისა დასდვა არ დასაწვავისა".

**მ. ჯანაშვილი.**

---

### კორექტურული შეცდომანი

### წერილში „თამარ მეფის მეხოტბენი"

(ტრიბუნა № 464)

სვ. 4: იერეს=იესეს! ბაგრატიონისათვის=ბაგრატიონთათვის; ზევსურად (6. ს.)=... (6. 1); 291=291); (27=(278)=(97); გადაელოცა ისაკს=.იაკობს; დავითის ზევსური=დავით სოსლანის..; საქარ. 100=„თამარიანი" 100; მეფეთა ზებად=..ძებად; მოსად=ოსად; ე. თ.=ე. ი.; მოსიმარიოს=მოსიმახოს:

სვ. 2: მოსიმახოდა მაფილი=...მახვილი; მოსამახოს-მოსამახოსა=...მოსიმახოს: აღმაშენებელის)=აღმაშენებელს); ქართველშიაც=ქართულშიაც.

სვ, 3: სამირონი=სამისონი; დახარჯვა=დახარკვა; სეუქვევ=სეფქვევ; დიმის დავლით=დიდის მოვიდა საქართველოში=მოვიდოდა...; [illegible]ხლოს მსხვერპლად=..მხვრელად; მას მეფობას=მის მეფობის; მას შემდეგ=მის,..

სვ: 4: უნათლეს ძალას=...ჰყოფს: იმ გირებისა=იმ გმირებისა; ის ბაგრატიონთაგანი=ოს-ბაგრატიონთაგანი; გვ. 8 სწორედ=გვ, 8...; ფილასოფოსოფოსობისა წმიდათ იოვანეს ...იამბიკონითაითა=ფილასოფოსობისაი წმიდაი იოვანე ...იამბიკონთაითა.

სვ. 5 სასახლეთა და აღწერილობაცა=სასახლეთა აღწერილობაცა; ხელოვნურად შეხერწილია=...შეძერწილია.

# პროვინციაში

**რკინის გზა ზუგდიდში.** ზუგდიდის მაზრის აღმასკომმა ერთი თვის უკან აღძრა შუამდგომლობა სათანადო ცენტრალური ორგანოს წინაშე,—რათა განახლდეს მუშაობა „სენაკი—ტუაპსეს" რკინის გზის დასამთავრებლად, თუ ბოლომდე არა, ზუგდიდამდე მაინც. შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა.

ეს გზა, (როგორც მკითხველსაც ეხსომება) დამტკიცებული იყო ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროს. მუშაობაც სწარმოებდა და მთელი გზა თითქმის სანახევროდ გაკეთდა. გარდა რკინის ნაწილებისა ყველაფერი დასრულდა, ხოლო დანარჩენის მასალაც მოზრდილი და დამზადებული იყო. მაგრამ რევოლიუციონურმა მოძრაობამ შეაფერხა იგი და მუშაობა დროებით შეწყდა.

მენშევიკებმა შეეცადნენ მის დასრულებას, მაგრამ, რა თქმა უნდა ვერ შესძლეს. ამჟამად იმედი საბჭოთა ხელისუფლებაზეა. ამ იმედის გამართლების ნიშნები არის ის აღთქმა-დაპირება, რომელიც მიიღო ცენტრიდან ჩვენმა აღმასკომმა. ხალხი მზად არის ყოველგვარი დახმარებისთვის. ვფიქრობ მუშაობაც მალე დაიწყება.

ზუგდიდის მაზრა და მისი ხელისუფალნი დიდ იმედებს ამყარებენ ამ გზაზე. ეს უეჭველად ასეც უნდა იყოს. ვინ არ იცის, თუ რა ფასდაუდებელ მნიშვნელობას ატარებს რკინის გზა იმ კუთხისათვის, რომელსაც ეს ირსება იგი. მაგრამ მე კი ვშიშობ,—ვაი თუ ამ შემთხვევაში ვერ გამართლდ ს ეს

# საუბარი გლეხთან

**4. მრეწველობა, შეერთებული მიწად-მოქმედებასთან.**

უკანასკნელი 40—50 წელიწადი მრეწველობის ისტორია იყო მრეწველობის დეცენტრალიზაციის ისტორია, ე. ი. აღორძინება მისი ცენტრებს გარეთაც—სოფლებში.

მეცნიერება, აღმოჩენანი, აზრის სითამამე და ნააზრევის სისრულეში მოყვანა გახდა საყოველთაო, საერთაშორისო მოვლენად. კაცობრიობის წინსვლა და მისი განვითარება შეუძლებელია დაამწყვდიო პოლიტიკურ საზღვრებში: იგი გადადის ზღვებს, მთებს, ტრამებს, უდაბნოებს და ფეხს იკიდებს ყველგან.

ცოდნა და აღმოჩენანი იმდენად საყოველთაო ხდება ყველგან, რომ, ხშირად, საკმაოა გამოცხადდეს გაზეთებში, რომ აქა და აქ აღმოაჩინეს, მაგალითად, ძალის სათადარიგოდ დაგროვების მანქანა ანუ უმელნოდ ბეჭვდისა, რომ რამოდენიმე კვირის შემდეგ, იგი უკვე ნამდვილ საქმედ მოევლინოს კაცობრიობას. მთელი მსოფლიო ამ ჟამად წარმოადგენს ერთ დაუსრულებელ სკოლას ცოდნათა დაუბრკოლებლად გავრცელებისა: მშვენიერი ნაწარმოები ინგლისელ ინჟინერ-მექანიკოსისა, უსაზღვრო გამბედაობა ამერიკელისა, მწყობრი ჭკუა ფრანგისა და წარმტაცი პედაგოგიკა, ნემენცთა დღეს ყველას ხვედრია, საერთაშორისო კუთვნილებაა.

ამიტომ, იმის მაგივრად, რომ შეაჩეროთ ცხოვრების მდინარება ძველს არსებაში, უმჯობესია შეისწავლოთ მისი ახალი მისწრაფებანი და გაიგოთ—რაშია საქმე ან რას ავალებენ ესენი ახალ თაობათ, მით უმეტეს, რომ არსებითი მხარე. ამ მისწრაფებათა იმდენად მარტივი და ადვილ-გასაგებია, რომ ყველას შეუძლიან შეითვისოს და შეისისხლ-ხორცოს იგი.

რადგანაც ევროპის ხალხებს უძნელდებათ თავიანთ სამრეწველო ნაწარმოებების სადღაც საზღვარგარეთ გასაღება და მაგიერში იქიდან სანოვაგის მიღება, ცხადზე-უცხადესია, რომ მათ ხელი უნდა მიჰყონ თან სასოფლო მეურნეობასაც და თან თავიანთ სამრეწველო ნაწარმოებების და რაც ადრე შეუდგებიან ამას, მით კარგი იქნება ეს მათთვის...

ამაზე ვიცი ეკონომისტები მიპასუხებენ, რომ ევროპის ხალხები ისე მჭიდროთ არიან დასახლებულნი, რომ დასამუშავებელი მიწა აღარ არისო და ან რა აზრია—მიწის დამუშავებაზე ვიწვალოთ, როცა უიმისოთაც კარგად და იაფად მოგვივა ყველაფერი უცხო სამიწად-მოქმედო ქვეყნებიდანო?!.

მაგრამ საქმე ასე არ არის. გავარჩიოთ ორივე. დიდს ბრიტანეთში (ინგლის-შოტლანდია-ირლანდიაში) 20 მილიონი დესეტინა მიწაა. რომ გამოვაკლოთ ამას ტყეები, კლდეები, ჭაობები, ქალაქები და რკინის გზები თუ არხები, რჩება გამოსადეგი მიწა 12 მილიონი დესეტინა. ამოდენა მიწას აქამომდე მოჰყავდა საზრდო მხოლოდ მცხოვრებთა ნასამედისთვის, დანარჩენებისთვის კი საზრდო შემოჰქონდათ საზღვარ-გარეთიდან ხოლო, რომ ამოდენა მიწას მუდამ შეუძლია საკმაო საზრდო მოუტანოს ბრიტანეთის 45 მილიონი ხალხის, ავიღოთ რვა წლის (1852—1860) ანგარიშები და გავსინჯოთ, რას გვეუბნება იგი. იქ სწერია, რომ მოხსენებულ წლებში დიდი ბრიტანეთის-მიერ მოხმარებულ პურიდან სამი მეოთხედი იყო ადგილობრივ მოყვანილი და დანარჩენი კი გარედამ შემოტანილიო. 25 წლის შემდეგ კი (1879—1886) იმავე დიდს ბრ. ატანეთს მოუხმარია მხოლოდ ერთი ნასამედი თავისი პურისა, დანარჩენი ორი ნასამედი კი სულ-გარედან შემოუზიდნია. აშკარაა, რომ ინგლისში ამ დროს სრულიად დაცემულა მიწად-მოქმედება! და, მართლაც, ცნობაა, რომ 1853 წლიდამ დიდს ბრიტანეთში 30 წლის განმავლობაში ისე დაცემულა მიწადმოქმედება, რომ დაუთესავი და დაუმუშავებელი დარჩენილა ნახევარ მილიონზე მეტი დესეტინა, რის გამოც მოსავალიც ყოველწლივ 60 მილიონი ფუთით ნაკლები ყოფილა და, ამიტომ, პურიც აღარ ჰყოფნიათ და იძულებულნი გამხდარან გარედან შემოეტანათ. რომ ვსთქვათ, რომ მიწა სხვა დარგებისთვის მოიხმარესო, არც ესა სჩანს, პირიქით, ცნობაა, რომ კარტოფილის თესვა შემცირებულა 103—600 დესეტინით და ასევე სტაფილოს, ჭარხლის და სხვათა თესვაც—112 ათასი დესეტინით. მოჰმატებია მხოლოდ საძოვრები და ბალახების სათესი მინდვრები, მაგრამ თითონ საქონელი კი ერთი სულითაც არ გაბეგრებულა...

1887 წლიდამ დიდს ბრიტანეთში პურის თესვის საქმე სულ უკან-უკან მიდიოდა, ასე რომ 12 მილიონი გამოსადეგი მიწიდან ითესებოდა მხოლოდ სამი მილიონი დესეტინა, დანარჩენი კი დაუმუშავებელი რჩებოდა. გადიდდა მარტო საძოვრები (გახდა ექვსი მილიონი დესეტინა). ეს კი სრულიად სარფა არ არის ქვეყნისთვის, რადგანაც დესეტინა საძოვარს მარტო ერთი ძროხის გამოკვება შეუძლიან!..

ახლა, რაშია საქმე და მიზეზი? მიზეზი ცხადია: **ხალხი გაურბის მიწას!** ეკონომისტები კი იძახიან, რომ მიწას არ შეუძლიან ხალხის გამოკვებაო?!..

კრაპოტკინი გვიამბობს ერთს ფრიად საგულისხმო ამბავს, მომყავს იგი სიტყვა-სიტყვით: „წაველ გაზაფხულზე ფეხით ლონდონიდან სოფლებში, რომ ვნახო, როგორ მუშაობენ და ამუშავებენ მიწას ინგლისელებიო, გავიარე ბარემ 30 ვერსი, მაგრამ ვერსად ერთი მხვნელ-მთესველი ვერა ვნახეო. ვსთქვი: იქნება მიწა ცუდია და იმიტომ არავინ ხნავს-მეთქი! მაგრამ ერთს ადგილას შემხვდა მშვენიერი ყანა და დავრწმუნდიო, რომ მიწა ყველგან კარგია, ოღონდ ხალხი გაურბის მიწასა!.. ასე არ არის ბელგიასა და საფრანგეთში. იქ მინდვრად ყოველ ნაბიჯზე ნახავთ პატრონსა და მუშას. მე ჯერ არ მესმოდა რაშია საქმე და მიზეზი, მაგრამ შემდეგში კარგად გავიგე ამის მიზეზიო! თურმე ინგლისში მიწაზე მუშაოს მხოლოდ ერთ მილიონ ნახევარი ხალხი, თექვსმეტი მილიონი კი თავის თავს და ღონეს სულ მოსამსახურეობაში და აქა-იქ მუშაობაში ჰლევსო! აშკარაა, რომ მილიონ ნახევარს არ შეუძლია 12 მილიონი დესეტინის დამუშავება!

პარიზის გარშემო თვითეულ დესეტინაზე მუშაობს ბარემ 6—7 კაცი, ლონდონის გარშემო კი მიწები დაუმუშავებელი ყრია, მაშინ როდესაც ყველა ეს მიწები შეიძლებოდა გამხდარიყო სიმდიდრის ულეველ წყაროდ. აღსანიშნია ერთი გარემოებაც: ინგლისში ბევრგან სრულიად მოუხმარებლად ყრია იმიტომ, რომ აღარავინ არის, რომ მიწა დაამუშაოს. მიწები ბევრი გვაქვს, მაგრამ ყველა გვერდს უვლის და შიგ კი არავინ შედისო—ამბობდა ერთი მოხუცი ინგლისელი!...

არც შოტლანდიაშია საქმე უკეთ. სოფლები ცარიელდება, მიწებს აღარავინ ამუშავებს, მატულობს მხოლოდ დაცლილი ადგილები, სადაც მათი მდიდარი პატრონები ფრინველსა და ნადირს ამრავლებენ სანადიროთ...

იტყვით: ვერ დავიჯერებთ, რომ განთქმულსა და ძლიერს ინგლისში ისე დაცემული იყოს მეურნეობაო! მაგრამ აქ ერთი სიტყვაც არ არის ტყუილი! მართალია, ინგლისელებს საშუალოთ მოჰყავთ ას ოცი ფუთი პური დესეტინაზე, ფრანგებს კი მხოლოდ 70, მაგრამ უბედურებაც სწორედ იმაშია რომ ინგლისში ასეთი მოსავლები მხოლოდ გამონაკლისია, თითო-ოროლა თავდადებული მეურნეობის ფერმებშია. „ასეთი დიდი მოსავლები და უფრო მეტიც გამონაკლისად საფრანგეთშიაც არის, მაგრამ საზოგადოდ კი ინგლისის მეურნეობა სწორეთ ისეთია, როგორც ზემოთ დავასურათე...

**ივ. როსტომაშვილი.**

# სხვა-და სხვა

— **იტალიელ მაქსიმალისტების კონგრესი.** იტალიელ მაქსიმალისტების (სოციალისტების) კონგრესზე ველლა-ნენნის ჯგუფმა გაიმარჯვა მცირე უმრავლესობით. უკანასკნელ მომენტში ლაცცარი თავის მომხრეებთან ერთად ჩამოსცილდა სერრატის მარცხენა ჯგუფს და თავი შეიკავა ხმის მიცემიდან, რომელიც წინაამდეგ შემთხვევის დროს უთუოდ მიიყვანდა მაქსიმალისტების შეერთებას მეორე ინტერნაციონალთან ნენნის. ჯგუფმა გაიმარჯვა სწორეთ ლაცცარის თავშეკავების მეოხებით, რომელმაც მიუთითა მერყევთ მასზე, რომ ლაცცარის ძველი გვარდია უარს აცხადებს მესამე ინტერნაციონალში ხელახლა შესვლაზეო. უნდა ითქვას, რომ „ფუზიონისტები" ე. ი. კომინტერნში შესვლის მომხრენი, მეტად მნიშვნელოვანათ იბრძოდენ თავის რეზოლიუციისათვის. ნენნის მარჯვენა ჯგუფს ენერგიულ დახმარებას უწევდენ ფაშისტები. მას შემდეგ, რაც ნენნის ჯგუფის გამარჯვება გამოირკვა, „პოპოლო და იტალიამ" მიულოცა ნას გამარჯვება მით, რომ მან მიუხედავათ სერრატის „ინტრიგებისა", დაიცვა პარტია მოსკოვის დამონებიდან.

მეორე ფაშისტურ ორგანოს „ჯიორნალე დი რომა" ქებას ასხამს ველლას, როგორც ჭეშმარიტ მარქსისტს, სახელმწიფოებრივ მამაკაცს, და სხ. ყოველივე ამიტომ მემარცხენე წრეებში აღნიშნავენ, რომ „თავდაცვის კომიტეტი" ფაშისტების გავლენის ქვეშ დგება. პარტიის ახალ ცენტრალურ კომიტეტში მხოლოდ მემარჯვენე მიმდინარეობანი არიან. მემარჯვენე ფუზიონისტურმა ჯგუფმა თუმცა შეკრიბა ორი მეხუთედი ხმებისა, მაგრამ ცენტრალურ კომიტეტში კი ვერც ერთი ადგილი ვერ მიიღო. ამას გარდა მემარჯვენე წრეები დაეპატრონენ პარტიის ცენტრალურ ორგანოს „ავანტა"-ს. ცხადია ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება. ან უმცირესობა გადაიქცევა უმრავლესობათ და ან პარტიაში განხეთქილება დადგება და უმცირესობა კომუნისტებთან გაერთიანდება.

— **ჭადრაკის ტურნირი კარლსბადში.** კარლსბადში დაიწყო ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირი; ტურნირში მონაწილეობას იღებენ ცნობილი და გამოჩენილი მაესტროები.

— **შაჰ-აბასის დროინდელი ხანჯალი ფერეიდანში.** სეიფოლა იოსელიანის თქმით, რომ მარტყოფში მათ ოჯახში ინახება ძველის-ძველი დიდი ხანჯალი, რომელიც მათ წინაპრებს წაუღიათ საქართველოდან, როდესაც ესენი შაჰ-აბასმა გადაასახლა და სამშობლოს მოაცილა. ამ სიძველეს ინახავენ, როგორც ძვირფასს სახსოვარს საყვარელს სამშობლოზე.

# სეიფოლა იოსელიანის ნაამბობი

სეიფოლა იოსელიანმა გადმომცა შემდეგი.

ამ სამი წლის წინად, როდესაც ფერეიდანიდან მრავალ პირთაგან შემდგარი ჯგუფი ფერეიდანელ ქართველებისა წავიდა ქერბალაიში სალოცავად, სადაც დასაფლავებულია მაჰმადის სიძე ალი შვილებით. აი ამ მგზავრობის დროს მათ უნახავთ ბაღდადის ახლოს მინდორზე ჩამომსხდარი სოფლელი ხალხი—ქალნი და კაცნი, ბავშვებით. როგორც ემჩნეოდათ იგი სოფლიდან აყრილნი იყო და მიჰყავდათ სხვაგან, ფერეიდანელ ქართველთ მიახლოვებისას ყური მოჰკრეს, რომ ეს ხალხი ქართულად ლაპარაკობდნენ. ამის გამგონე ფერეიდანელნი განცვიფრებულან და სიხარულით გამოლაპარაკებიან. უკითხავთ ვინაობა პასუხათ მიუღიათ, რომ ესენი ქართველები არიან, და აქ ოსმალეთში ვცხოვრობთ ჩვენაო, ინგლისელების ჯარმა, რომელიც ეხლა უკან იხევს ჩვენ ტყვეთ წამოგვიყვანა ჩვენის სოფლებიდანაო!.. თავის მხრით აგრეთვე იმათაც გამოუკითხავთ ამათ ვინაობა, ფერეიდანელ ქართველთაც აუხსნიათ, რომ ესენიც ქართველები არიან სამასი წლის წინად შაჰ-აბაზის მიერ საქართველოდან გადასახლებულნი სპარსეთში და ამ ჟამად იქ მაცხოვრებელნი ამ უეცარი მოულოდნელი შეხვედრის ჟამს, მუხთალი ბედისაგან გადატყორცნილთ, ჩვენს თანამოძმეთ ცხარე ცრემლებით უტირნიათ შორს არაბეთის ველებზედ და ასე გულდათუთქულნი გამოსთხოვებიან ურთი-ერთს.

ვ. ბუთ—ლი.

# პარტიაში

**დ. ხარაგოული.** მაისის 11, დაბა ხარაგოულში შესდგა პარტიული კრება საქ. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შორაპნის სამაზრო კომიტეტის მიერ მოწვეული. კრებას დაესწრენ როგორც ხარაგოულის ამხანაგები, აგრეთვე შორაპან-ზესტაფონის რაიონიდანაც სრულ 6 საათზე. კრება გახსნა ამხ. მეტრეველმა სამაზრო კომიტეტის სახელით. თავჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. დ. ინოზემცევი, მდივნათ მ. მეტრეველი.

გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: 1) სამაზრო პარტ. კომიტეტის ცენტრის არჩევა, 2) სათემო კომიტეტების დაარსება, 3) კანდიდატი ადგილობრივ ხელის უფლებასთან, 4) პასუხის მგებელი კორესპოდენტების არჩევა, 5) მიმდინარე კითხვები.

სამაზრო პარტიული ორგანიზაციის ცენტრის შესახებ ამხანაგი ასათიანი, ეყრდნობა სხვადასხვა მოსაზრებებს, და აღნიშნავს რომ სამაზრო ცენტრი შესაძლებელია იქნეს ხარაგოულში.

ამხანაგი კახიძე უარყოფს ასათიანის მიერ წამოყენებულ მოსაზრებებს და ასაბუთებს რომ სამაზრო ცენტრი უნდა დარჩეს შორაპანში. კრებამ ერთხმათ მიიღო უკანასკნელი და დაადგინა სამაზრო ცენტრი დარჩეს ქ. შორაპანში.

სათემო კომიტეტების შესახებ კრებამ დაადგინა, რომ გაიგზავნოს ყველა თემებში სამაზრო კომიტეტის რწმუნებულები სათემო კომიტეტების დასაარსებლათ იმ ადგილებში სადაც დღემდე არ არსებობს.

სამაზრო და სარაიონო კომიტეტებს ევალებათ აქტიური მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ ორგანოების ყველა მუშაობაში.

პასუხის მგებელ კორრესპოდენტებათ არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ზესტაფონიდან—სანდრო ლორთქიფანიძე, შორაპნიდან—იაკობ მშვენიერაძე, ძირულიდან—დავით ინოზემცევი და ხარაგოულიდან—პავლე თავზარაშვილი.

დასასრულს კრება ადგენს, რომ მოკლე ხანში სამაზრო კომიტეტის სასარგებლოთ გამართულ იქნეს საღამო, და დაევალება ყველა წევრებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საღამოს მოწყობის საქმეში, რომელიც დაბა ხორაგოულში უნდა გაიმართოს.

პ. თ.

---

**კრება.** მეორე რაიონში (8,9 და 10 სამილიციო უბნებში) მცხოვრებ პარტიულ ამხანაგების კრება შესდგება პარასკევს, მაისის 18-ს, საღამოს 7 საათზე პარტიის მთავარ კლუბში (ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 1), რომელზედაც ამხ. სერ. ამაღლობელი გააკეთებს მოხსენებას: „ჩვენ და პოლიტიკური პარტიები", ხოლო შემდეგ გარჩეულ იქმნება სხვა და სხვა მიმდინარე საკითხები. დასწრება კრებაზე ყველა ამხანაგისთვის სავალდებულოა.

**რაიონის კომიტეტი.**

# ბიბლიოგრაფია

**„გრდემლი" № 1.** ორ-კვირეული სალიტერატურო სურათებიანი ჟურნალი.

1923 წ. ტფილისი.

დიდათ სასიამოვნოა რომ გამოსვლა იწყო სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალმა „გრდემლმა". პირველი ნომერი ვერ არის კარგად გამოცემული, მაგრამ ესეც როგორ მოახერხეს ჩვენ პირობებში საკვირველია.

ჟურნალი იხსნება დამსახურებული ნიჭიერი მწერლის დავით კლდიაშვილის წერილით. „მთის ორი დიდებული შვილი". (ვაჟა ფშაველასა და ალ. ყაზბეგზეა დაწერილი).

ეს წერილი თავისი შინაარსით სასიამოვნოა ყველა დაინტერესებული მკითხველისათვის.

დ. კლდიაშვილის წერილის შემდეგ მიდის ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლის ა. მაშაშვილის მოთხრობა „გიორგი". მოთხრობის შინაარსი და სტილი ამტკიცებს რომ მაშაშვილს სამწერლო ნიჭი აქვს და შეუძლია მეტის მოცემაც.

მკითხველის ყურადღებას იპყრობს ნიკო ფიროსმანიშვილის სურათები.

კარგია უდროვოდ გარდაცვლილი პოეტის შალვა კარმელ[illegible]ის ლექსი „ჭინკები სოფლად". არა უშავს „ოქრ[illegible]ს სახნის" ს. კ—შვილისას.

პეტრე სამსონიძის მოთხრობის „ბედნიერების ორი მხარე" თვითეული სტრიქონი მოცემულია ნ მდვილი განცდებით. არის მის სიტყვების მოსაწყენი რახუნი. პეტრე სამსონიძისაგან ბევრს მოველით.

ყურადღებას იპყრობენ ლექსები „თუჯისლანგარი"—იონა ვაკელისა და „დედა" ადა ნევრისა.

ჟურნალი კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი და ღირს 150000 მანეთი. მოველით უკეთეს ნომრებს.

**დაკო.**

# ხელოვნება

## ა ნ კ ე ტ ა.

### სახალხო თეატრის მასალების ისტორიისათვის.

10 ივნისს გაიმართება სახალხო დრამატიული თეატრის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე. ამ დღისათვის განზრახულია გამოიცეს ვრცელი კრებული, რომელშიც მოთავსდება ყოველგვარი მასალები სახალხო დასის მოღვაწეობის შესახებ. ამ მიზნით საჭიროა თქვენ მიერ მივიღოთ პასუხი ქვემოდ მოყვანილ კითხვებზე. კითხვები უნდა გამოიხატოს მთლიან წერილში, რომელიც მოთავსდება აღნიშნულ კრებულში.

1. როგორია თქვენი შეხედულება საერთოთ სახალხო დასის წარსულ მოღვაწეობაზე.
2. როგორ მოეწყოს მისი ორგანიზაცია მომავალში.
3. როგორ უყურებთ მას, როგორც თეატრალურ სახეს.
4. თქვენი შეხედულება მის რეპერტუარზე.
5. სახალხო დასი მომავალში უნდა მოღვაწეობდეს როგორც სახალხო დასი, თუ ის უნდა გარდაიქმნას ქართულ დრამათ პროფესიონალური მუშაობით.
6. მისი თეატრალური მუშაობა ხელოვნურ სფეროში როგორი მიმდინარეობით უნდა მოეწყოს.
7. რა იცით სახალხო დასის ისტორიიდან ფაქტიური მხარეები.
8. იცით თუ არა რაიმე ანეგდოტები ან ყურმოკრული საუბრები სახალხო დასის ირგვლივ.
9. თქვენი მოგონება სახალხო თეატრზე, თუ უახლოესათ იდექით მის მუშაობასთან.

მასალა უნდა იქნას წარმოდგენილი 30 მაისამდინ.

**მისამართი:** პლეხანოვის ქ. № 102. სარეპეტიციო ზალის კანტორა-გამგეობის რწმუნებულს.

**გამგეობა.**

---

### სახალხო დრამატიული თეატრის 30 წ. იუბილე.

13 ამა მაისს, რუსთაველის თეატრში შესდგა სხდომა სახალხო თეატრის 30 წ. იუბილეს მომწყობ კომიტეტისა, რომელშიაც შედიან: კ. მაყაშვილი, ი. გომართელი, ს. ახვლედიანი, დ. კლდიაშვილი, გ. ლასხიშვილი, გრ. რობაქიძე, ნინო ნაკაშიძე და გ. ყურულაშვილი. ამ კრებაზედ კომიტეტმა დაადგინა, რომ იუბილე გაიმართოს 10 ივნისს სახალხო სახლში. ამ დღისათვის გამოიცეს საგანგებო საიუბილეო კრებული. კრებულის სარედაქციო კოლეგიაში შედიან: გრ. რცხილაძე, შ. დადიანი, ი. გომართელი, ი. გრიშაშვილი, ნ. გერგესელი, გ. ჯაბაური. ამ საღამოსთვის მოწვეულნი არიან ცნობილი რეჟისორები სახელმწიფო თეატრებისა: კ. მარჯანიშვილი და ა. წუწუნავა.

---

### რეჟისორთა თანაშემწეების ბენეფისი.

შაბათს, 19 მაისს, რუსთაველის თეატრში გაიმართება რეჟისორის თანაშემწეთა დოდო ანთაძის და ალექსანდრე გველესიანის ბენეფისი. წარმოდგენილი იქნება შილლერის ტრაღედია „ყაჩაღები". ამ ახალგაზრდა ნიჭიერ და ენერგიულ სცენის მუშაკთ, საკმაო დამსახურება და ჩვენი თეატრალური საქმისადმი დიდი ინტერესი მიუძღვით. საჭიროა, ჩვენმა საზოგადოებამ დააფასოს ეს ჩუმი და სცენის აუცილებელი მოღვაწენი და პატივი სცეს მათ საბენეფისო დღეს.

---

### ფოტოგრაფია საქართველოში.

#### 2. ედუარდ კლარი.

რადგან წინა წერილმა კლარის სახელამდე მიგვიყვანა, საჭიროდ მივაჩნია, გავაცნოთ პატივცემულ მკითხველს კლარის პიროვნება და ავსწეროთ მისი ბიოგრაფია, რადგან წელს სრულდება 30 წელიწადი, რაც ის მოღვაწეობს ფოტოგრაფიის ხელოვნების დარგში.

კლარი იყო ჭეშმარიტი [illegible] ხელოვნებისა და წამსვე [illegible] ლისში ყოველივე ის, რაც ახალი მიღწევა იყო ფოტოგრაფიის ხელოვნებაში. კლარმა თვითონაც შეიტანა თავისი წვლილი ფოტოგრაფიის ხელოვნებაში და ბევრი რამ ახალი გამოიგონა. იგი დაიბადა 1863 წ. ქალაქ პოლტავაში. იქვე მიიღო სწავლა კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ მიებარა ფოტოგრაფ-აკადემიკოს მხატვარს იულიოს ედუარდის ძე გლენცერს მოსკოვში, რომელთანაც შეისწავლა მხატვრობა. კლარი ხალისიანად ესწრებოდა ლექციებს, ქიმიის და ფიზიკის შესახებ. საზღვარ გარეთის სახელმძღვანელოების მეოხებით შეისწავლა თეორია და ისტორია ხელოვნებისა. ხარკოვში შემთხვევა მიეცა თავისი ნიჭის და დაკვირვების გამოჩენისა. სახელგანთქმულმა სოციალისტმა მედვედევმა მიუტანა კლარს ერთი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწის სურათი და სთხოვა სასწრაფოდ იმის დამზადება, რადგან ორიგინალი უნდა დაებრუნებინათ სისწრაფიდვე ჟანდარმერიის ფოტოგრაფ[illegible]ბილტისთვის. ძველის-ძველი საშვალებით სწრაფად გადაღება სურათებისა ძალიან ძნელი იყო, რადგან პლასტინკა 10 წუთის შემდეგ უკვე შრებოდა და ფუჭდებოდა. კლარმა მოისაზრა, რომ ვერცხლის სითხისათვის მიემატებიოს გლიცერინი და გადაელოს მაგნიის ლენტით. ამ გვარად კლარმა სწრაფად შეასრულა შენაკვეთი და პოლიტიკურ მოღვაწესაც საშვალება მიეცა დამალვის. 1884 წ. პროფესორ გრუბეს ხირურგიულ კლინიკაში ექიმ ორდინატორ რაკოვსკისთან ერთად კლარი მეცადინეობდა სამეცნიერო ფოტოგრაფიაზე და მან პირველმა შემოიღო გადაღება მშრალი ირომო-ჟელატინის პლასტინკაზე. იქვე მოაწყვეს იმან და რაკოვსკიმ მიკროსკოპის აპარატი. 1885 წ. ჩამოვიდა ტფილისში და მსახურობდა ფოტოგრაფ ბარკანოვთან ფოტოგრაფად. მან პირველმა შემოიღო პორტრეტების გადაღება მშრალ პლასტინკაზე. 1891 პეტროგრადში ფოტოგრაფ შაპიროსთან მსახურებდა ფოტოგრაფ ოპერატორის თანამდებობაზე. 1892 წ. დაბრუნდა ისევ თბილისში და დარჩა დღემდე აქ. 1893 წ. გახდა სახელმწიფო ოპერის თეატრის ფოტოგრაფი და პირველათ მან შემოიღო გადაღება სურათის მაგნოს საშუალებით, 1906 წ. კლარი გაემგზავრა საზღვარ გარეთ და შეისწავლა ყოველივე ის, რაც ფოტოგრაფის ტეხნიკის ახალი მიღწევა იყო.

კლარი იყო წარდგენილი ჯილდოზე საოპერო თეატრში დამსახურების გამო. 1901 წ. მიიღო აგრეთვე ჯილდოთ ოქროს დიდი მედალი, თბილისის გამოფენაზე. თავის პრაქტიკის განმავლობაში კლარმა გამოუშვია არა ერთი და ორი მოწაფე, რომლითაც შეუძლიან იამაყოს არა მარტო თბილისმა, არამედ საზღვარ გარეთმაც.

კლარი ლიტერატურასაც არ არის ჩამორჩენილი და იგი ერთ დროს „თბილისის ლისტოკის" თანამშრომელიც იყო და ხელთა გვაქვს მისი ერთი ბროშიურა: „Разрушение Закавказской железной дороги в 1895 году из воспоминаний фотографа".

რადგან დღეს შრომის ხანაში ვცხოვრობთ, გ. უნდა ხელი შევუწყოთ ცხოვრების წინმსვლელობას, ხელოვნების ტეხნიკის, მეურნეობის და სხვათა განვითარებას. საჭიროა დაფასება ყველა იმ მოღვაწეთა, რომელთაც თვალსაჩინო შრომა გაუწევიათ, სულ ერთია ვინც უნდა იყვნენ ისინი, ამიტომ იმედია ფართო საზოგადოება და მთავრობა თანაგრძნობით შეეგებება კლარის იუბილეს, რომელიც განზრახულია გაიმართოს ამ მოკლე ხანში.

იმედია რომ მოხუცებულ თვითმშრომელ კულტურულ მუშაკს მთავრობა საშვალებას მისცემს მუშაობას მომავალ საქართველოს სახელმწიფო ფოტოგრაფიულ სტუდიაში.

**ვარლამ ჩლაიძე.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 12.

**ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმისა, 13 მაისი, 1923 წელი.**

განსამარტებლად § 2 პუნქტებისა ა და ბ „საბინაო ქირის დებულების შესახებ", რომელიც დამტკიცებული იყო ტფილისის საბჭოს მიერ 23 აპრილს 1923 წ. № 11 პრეზიდიუმი ადგენს:

საბინაო ქირის გადამხდელთა პირველ კატეგორიაში იქმნენ მოთავსებულნი მხოლოდ ის უმუშევარნი, რომელნიც სარგებლობენ სოციალურ დაზღვევით უმუშევრობისაგან და აგრეთვე ის უმუშევარნიც, რომელნიც ითვლებიან პროფკავშირის წევრებათ, შრომის ბირჟიდან სპეციალურ მოწმობების წარმოდგენით.

აღმასკომის თავმჯდომარე **სუხიშვილი.**
მდივანი **თიკანაძე.**

## შ ე ს წ ო რ ე ბ ა.

ტფილისის საბჭოს 1923 წ. 23 აპრილის დადგენილების № 11 დამატებაში, ქალაქის განაპირა უბნების შესახებ, რომელიც მოთავსებული იყო ტრიბუნაში № 465 შემთხვევით გამოშვებულია შემდეგი: 12 **რაიონი—დიდუბე**—პლეხანოვის პროსპექტის ბოლოდან და ტრამვაის პარკიდან დაწყებული.

საცხოვრებელ სივრცეზე ტარიფების განსაზღვრის დროს აღნიშნული რაიონი (დიდუბე) ქალაქის განაპირა უბნად უნდა ჩაითვალოს.

ტფილისის საბჭოს თავმჯდომარე **სუხიშვილი.**
მდივანი **თიკანაძე.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ დაუთმოთ ადგილი თქვენს გაზეთში ჩემს შემდეგს განცხადებას:

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მე ვითვლებოდი საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის სიღნაღის სამაზრო ორგანიზაციის წევრად. გადატრიალების შემდეგ ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზთა გამო იძულებული ვიყავი პარტიაში მუშაობისათვის თავი მიმენებებინა. მით უმეტეს რაც ზემოხსენებული ორგანიზაცია დაიშალა. ცენტრს მოწყვეტილს არავითარი წარმოდგენა პარტიაში შექმნილ მდგომარეობაზედ არ მქონია. დღეს კი მივხვდი. რამდენად სოციალ-ფედერალიზმის სალის დამცველი არის მხოლოდ და მხოლოდ მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია, მსურს ამიტომ ახალგაზრდული ენერგია მოვახმარო მას ერისა და მშრომელ ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

**გიორგი სერგოს ძე ყარალაშვილი.**

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 287 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. 1 ნყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. №

ეროვნული ბიბლიოთეკა